



# ივრი

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებებთან დასაბუღებლად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ გამოვრც. საზოგადოების კანცელიარის. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეორეზედ—8 კაპ.

„ივრიის“ ტელეფონი № 227.

„ივრიის“ ტელეფონი № 227

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
21	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

**პეისრულე**  
ყოველ გვარს სასამართლო სამსახურს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არსებს, ვტვირთვლობ აგრეთვე **გაგზავნიან განკარგვნი დაბირა-მებას.**  
მსურველთ მოკვამართან დიდის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ოქრომქველების ქუჩა, სახლი პაპოვისა, 30, იკითხეთ ა. მ. ანაზაროვი.

გამოვიდა და ისეიდება ყველა წიგნის მაღაზიებში გალერ. გუნას მიერ გამოცემული **საქართველოს კალენდარი 1896 წ.**  
ფასი ათი შაური. უმთავრესი საწყობი წერ. კითხვ. გამოვრცელ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. (10—10)

**მთავრობის განკარგვნი.**  
უმალღესის ბრძანებით დაჯილდოვებულ იქნენ 3 თებერვალს 1896 წ. მესამე ხარისხის ანანს ორდენით: ქუთაისის გუბერნიის სასჯელმწიფო ქა-ნებათა გამგეობის საგანგებო მინდობა-

**ფელეტონი**  
(გუძღვნი ლიხას.)  
შრომა... ოფლის ღვრა... სილა-რიბე... ძუნწი ცხოვრება, და ჩემს გარშემოც ჩემებრივა უბედურთ კრება, უსიხარულოდ დაღუპული წარსულნი დღენი და მომავალიც უიმედო ნაღველად მჩენი...  
ოხ, ღმერთო, ღმერთო, ნუ თუ ტანჯვას არ აქვს საზღვარი?! ის ხომ ღმერთია, რომ მიჰქონდა წამების ჯვარი ი. ევლავილი.

**ფაშაველთა ცხოვრება**  
ახლანდელი ლექსობა-შაირობა ფაშაველთა ნიმუშები ფაშაველი ქალის ლექსებისა).  
ამბობენ და სწერენ, რომ ქართველებში ლექსთა თქმა და თხზვა ერთობ გავრცელებულია, დიდი თუ პატარა, ნიჭიერი თუ უნიჭო—ყველა ამ ხელოვნებას ეპოტინება. ეს აზრია დამკვიდრებული ლიტერატურაში და, შეიძლება, არც მთლად უსაფუძვლო იყოს იგი... მწერლობას რომ გზა აუქციოთ და ჩვენი უცოდინარი ხალხის გონებრივ ვითარებას დაეკვირდეთ, შეენიშნავთ, რომ ხალხსაც, რომელსაც მწიგნობრობისა სრულიად არაფერი გაეგება, ლექსობა-შაირობა მეტად უყვარს. ეს დარგი გონების მოძრაობისა ჩვენ ხალხს უყვარს განა მართა ეხლა,

ლუბათა მოხევე გასიდა დოდაშვილი, გაკვასიას სახელად ოქჯის მალაზიების ნივთთა საწყობის ზედამხედველად თომა თუშმალისვილი და ტფილისის მაზრის სასამართლო განყოფილების მდიანა კოლეჟის რეგისტრატორი თეოდორე ისაკიძე; სასულიერო წოდებდამ დაჯილდოვებულ იქნენ: ჟაგის მღ. ზურაბ ჯიოშვილი, გურია-სამეგრელოს ბანზო-შეუწყის წმ. გიორგის მღ. ანტონი კეკელია და სოხუმის ეპარქიის დაბა ჩქეშაძის მღ. იოსებ კერესელიძე.

**ახალი ამბავი**  
\* \* \* ქუთაისიდან გვწერენ, რომ განსვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის გავსენება გელათში და დასაფლავება სამს მარტს უნდა მოხდესო, თუმცა ნამდვილად არ არის ჯერ გარდაწვეტილიო.  
\* \* \* სარწმუნო პირმა გვაუწყა, ამბობს „მეურნე“, რომ ცნობილი პროფესორი ფიზიოლოგი თარხანოვი და აგრეთვე ცნობილი მეცნიერი ქალი მანასენისა თითო სამეცნიერო წერილს ამზადებენ ყოველ თვიურის ურნალის „მოამბისათვის“.

უყვარდა ძველადაც, შორს წარსულში...  
საქართველოს ერთი კუთხეც არ მეგულება, ხანაც ლექსობა-შაირობა ისე იყოს გავრცელებული, როგორც ფაშაველი. ამას გვიმტკიცებს ის აუარებელი ძველი და ახალი ხალხური ლექსები, რომელთაც ფაშაველები მღერაინ დღეს. ამათ ხატობადღობას, ან რამე მოღმენას, თუნდა ტირილსაც, რომ დაეწროს ადამიანი, უეჭველია, შენიშნავს, რომ ფაშაველს ლექსობა-შაირობა გატაცებით უყვარს. ფაშაველი კაცი თუ დედა-კაცი, როცა „ხმითა ტირის“, უთუოდ ლექსად მოსთქვამს თავის მწუნარებას.  
სატირალი ლექსები ურითმოა და სიმღერაშიაც გამოუსადეგარი. ამიტომაც მათ არაზინ იხსომებს, გარდა თითო-ორი ტაებისა, რომლებიც კაცის ხსოვნაში უნებლიედ ჩარჩებიან ხოლმე... ნურავის ეგონება, რომ ფაშაველი ლექსობა-შაირობაში ცხოვრების სახსარს ხედავდეს, როგორც რაჭველი მესტიერე; ან კიდევ მოტირალი რამე სასყიდელს იღებდეს, როგორც ხეფურებში და სხვაგანაც არის ჩვეულებად. არა, ფაშაველი მღერის თუ სტირის, ყოველთვის უფასოდ, უსასყიდლოდ.  
ახლანდელი ლექსობა-შაირობა, იმის გარდა, რომ სარკეა ახლის ცხოვრებისა, ამასთანავე იგი თავ-შესაფარიც არის იმ ადამათა და ჩვეულებათა, რომელნიც ახალმა ცხოვრებამ და კანონმა განდევნა. ყველა მთის ხალხებს, მათ შორის ფაშაველებსაც, უხსოვარი დროიდან შემუშავებ-

\* \* \* როგორც გვითხრეს ქართულ დრამატიულ დასის არტისტებს შეუდგენია ამხანაგობა და განუზრახავს დიდ მარხვაში წარმოდგენების მართვა სახანინო თეატრში.  
\* \* \* ქართველ თავად-აზნაურთა თეატრის იჯარით აღება განიზრახა ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ მოხერხდა: ქარვასლის გამგე კომისიამ გამოუცხადა დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, რომ მას თითონ ჰსურს თეატრის ექსპლოატაცია.  
\* \* \* კავკასიის საფილოჟსერო კომიტეტმა ნება მისცა პრინცესა მიურატს—გამოიწეროს 5000 ამერიკული ვაზი ზუგდიდში სამცხობის გასაჩენად. (კავკაზა).  
\* \* \* ჩვენ მივიღეთ ექიმის ს. ვაინოს მიერ შემდგენილი „ანგარიში“ ქუთაისის ს.ბ.თოფურის საავადმყოფოს სადოსტაქრო განყოფილების მოღვაწეობისა 1890 წლის მაისიდან 1894 წ. მაისამდე. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ მალე გამოვა მთელის საავადმყოფოს ანგარიშიო.  
\* \* \* იმპერატორმა მარიამ ალექსანდრეს ასულის უსინათლოთათვის საზრუნველად კავკასიის განყოფილების საბჭო აცხადებს, რომ 1-ლ იანვარს 1896 წ. განყოფილების კასაში

ბული ჰქონდათ სასულიერო, ზნეობრივი და მოქალაქობრივი ავი თუ კარგი კანონები, ჩვეულება-ადამები, რომელთა შემწეობით მათი ცხოვრება მიმდინარეობდა ამ საუკუნის დამლევამდე და თითქმის ნახევრამდინაც. რაკი ახალმა ქარმა ახლის მართვა-გამგეობისამ იმთამდინაც მიადღწია, რასაკვირველია, ყველაფერმა ძველმა, ახალთან არ შეთანხმებულმა, თავისი ძალა დაჰკარგა: თემობა დაირღვა, საკუთარი ცხოვრების შემუშავებული რწმენანი, ადათნი და ჩვეულებანი თანდათან იშლებიან და მათ ადგილს იკერენ ისეთნი, რომელნიც მათ ცხოვრებას არ შეეფერებიან. წინად მთიელთ თავისი თავი თვითონ ემართა და ამიტომაც თავის რწმენაზე და ცხოვრებაზე ზედ გამოკრილი ჩვეულება-ადამები ჰქონდათ. ეხლა-კი მათ აღარაფერი ეკუთვნის, აღარაფერი ეკითხვის, აღარაფერზე გავლენა და მოქმედება აღარა აქვთ. ამის შემდეგ ხალხს აუცილებლად უნდა გამოემდებნა ისეთი საშუალება, რომლითაც დაეცვა თავისი წარსული და თავისი აწმყოზედაც, ასე თუ ისე, გავლენა ჰქონოდა... ფაშაველმა ამგვარ საშუალებად სწორედ ლექსობა-შაირობა დასახეს. მართლაც, ეს ისეთი საშუალებაა, რომელიც წარსულსაც ინახავს და აწმყოზაც სწვრთნის. მას ვერა კანონი წინ ვერ გადაეღობება, არც ხელი შეეკლება, არც თოფი ესროლება და არც ხმალით ეცემება\*. მივმართოთ თვით ლექსებს.  
—  
თუმცა ფაშაველები, როგორც ყვე-

ყოფილა 34,519 მან. და 71 კაპ., იანვარში შემოსულა 3,494 მან. და 78 კაპ., ამავე თვეში დაჰხარჯვია 2,716 მან. და 33 კაპ. 1-ლ თებერვლისათვის დარჩენილა 35,298 მან. და 16 კაპ.  
უსინათლოთა სამკურნალოს განყოფილებაში 1896 წ. იანვარში სულ ყოფილა ახალი ავადმყოფი 394 კაცი და მოსულან საექიმოდ 1,546 ჯერი; ამავე დროის განმავლობაში ოპერაცია გაუკეთებიათ 33-ისათვის.  
\* \* \* კავკასიაში სახალხო განათლების უკეთესს ნიადაგზე დასაყენებლად და გასაუმჯობესებლად ადგილობრივს სამოსწავლო მთავრობას, როგორც ვახეთი „ნოვ. ობოზ.“-ის გაუგონია, შუამდგომლობა დაუწყია კავკასიის სასოფლო საზოგადოებათ დახმარება აღმოეჩინათ, უფრო-კი ართვინისა, სოხუმისა და ბათუმის ოლქში; დახმარება აღმოეჩინონ ყველს, ვინც-კი მოისურვებს პირველადწყებითი სკოლის დაარსებას და მიიღებს მონაწილეობას, აგრეთვე ასეთ სკოლებთან მასწავლებლის გარდა თანაშემწის ყოლის მოისურვებენ, ან ქალებისათვისაც გახსნიან განყოფილებას. წლიურად 15 ათას მანეთამდე ქაბმარებას აღმოუჩენენ.

ლა ქართველები, ქრისტიანები ყოფილან და არიან დღესაც, მაგრამ ქეშმარიტი ქრისტიანული წესის აღმასრულებელნი, დროთა ვითარების გამო, ან არა ჰყოლიათ, ან თუ ჰყოლიათ, იმათაც ისეთი დარაჯობა ვერ გაუწყვიათ, რომ ქრისტიანობა არ შერყეულიყო, არა ქრისტიანულ რწმენებში არ შერყეულიყო. რწმენათა შერყევის გამო გაჩენილან ხატლმერთა მსახურებდა საერო პირები, ხევის ბერები, რომელნიც როგორც სასულიერო საქმეში, ისე საეროშიაც წინამძღვრობდნენ ხალხს. მათი ორნაირი სამსახური უნდა იყოს მიზეზი, რომ ხალხი მათ დიდ ნდობას უცხადებდა... ხევის ბერთა და ქადაგ-მკითხავთა წყალობით გაჩენილან ის მრავალი სალოცავი ხატები, რომლებითაც მდიდარია ფშავის ხევი დღესაც. ხატებთან აშენებული „საბეროები“ და ორმოები იგებოდა ლაშქრების ნადავლითა და მლოცავთა შემოწირულ ოქრო-ვერცხლის და სხვა ლითონის თასებით, სურებით და სხვა ნივთებით. ფშაველი ამ ნივთებს ხელს როგორ შეახებდა! იმას ჯერ ხატლმერთის სასჯელისა ეშინოდა, მერე ხალხისა, რომელიც ან ჩაჰქოლავდა მოღალატეს, ან მოიკვებოდა და თავის საზოგადოებრივ განამეგებდა... რაკი ახალი მართვა-გამგეობა გაჩნდა, რასაკვირველია, ახალი სასულიერო და საერო პირებიც გაწესდნენ ფშავის ხევის გამგებლებად. ამ უგუნურმა და ანგარმა პირებმა უწყალოდ არიგდარიეს ხალხის ცხოვრება: სასულიერო პირები, მართლა სამარცხვი-

\* \* \* საქართველოს სამხედრო გზა ისევ შეიკრა; გუშინ რუსეთის ფოსტა არ მოგვსლია.  
\* \* \* სად. კიათურაში 14 თებერვალს ცეცხლი გაუჩნდა სადგურის დეპოს. დაიწვა მთლად, რაც-კი ხის შენობა იყო. ცეცხლი № 1001 ლოკომოტივისაგან გაჩნდა; ლოკომოტივი ძლივს გადაარჩინეს. (ნოვ. ობ.).  
\* \* \* ს. კლდეტი, (შორანის მაზრა): 8 თებერვალს სოფელ ალავერდსა და თერის შუა ერთი კაცი იპოვნეს, თოვლში გათოშლილი. საბრალო აზნ. კოსტ. ბეგ. მაჭავარიანთან ყოფილა ს. ილიემ მოჯამაგირედ—გვარად იაკო ზაქარიაძე, ასე 24—26 წლისა.  
გზები აქედ მთლად შეკრულია; დიდი თოვლია; ხალხი მეტად გაკირვებულია. მრავალი სახლი დაანგრა თოვლით.  
\* \* \* თიანეთის მაზრა: წარსულკვირას თიანეთის სამაზრო სამმარ. თველოს თარჯიმანმა ი. ოზიაშვილმა შეიპყრო ორი ციმიბრიდამ გამოქცეული ავაზაკი; ალექსი აივაზაშვილი ს. მატანში და ლევან ბუტიაშვილი ს. ვარდისუბანში (თელავის მაზრაში).  
\* \* \* იქიდაშვე: მთის მცხოვრებთ რაღა ხმა ამოგვეღება წრევანდელს ნოდ, ფშაველების სალოცავებს და იქ შენახულ თას-განძებს ეცნენ; საერო პირებმა კიდევ სხვა კუნძულები იპოვნეს... და ეს იყო პირველი ნაბიჯი წამართათ გაჭრისტანებისა და უწყსათა წესდარებისა!.. ამით დაეხმარნენ ზოგიერთი უპატრონო ფშაველებივე, რომელთაც სცნეს, რომ ხალხის ხმას და თემობის მსჯავრს მათზე აღარაფერი უფლება აქვთ, ოლონდ „გამგებელს“ და სხვათ რამე მიართვან. ამათ სახელადაც მიიჩნიეს თავისი საქციელი:  
თირილია ვარ ცქიფათი, თას-სურეების ხიფათი! ზოგი წავილე თელავსა, ზოგი ბლალაჩინის მივართვი!.. მამუკავ წვერბედენაო, გიბარებდა გვენაო:— ფულები ჩვენ ჩავიტანეთ, მოვარბუნეთ ჩვენკენაო!..  
თემობის უფროსად ჯერ ღმერთი ითვლებოდა, მერე მასთან ახლო მდგომი ხატი, ბოლოს ხატის მსახური ხევის ბერი. თემის სამართალი მუდამ ხატის კარსა ხდებოდა და უხილავი მსაჯული ყოველთვის ღმერთი და ხატი იყო... როგორც დავინახეთ, თემობის დარღვევა ამ წმინდა ალაგდამ დაიწყო. ამის მნახველს ფშაველს გული ჩაეთუთქა, სასოება დაეკარგა! უარესი დაემართა მაშინ, როცა გაიგო, რომ ხატისა და ხალხის მოღალატედ მისი ძმა გამოდიოდა, რომ მისი ცხოვრების „სამანი და საზღვარი“ იმის ძმისაგან ირეოდა! სასოება მიხილი ფშაველი ხატს-ლა ემღერება, რომ თემის მოღალატეს არა სჯის.

დიდ თოვლიანს ზამთარზე, როცა ბარის მცხოვრების ყოველ მხრიდან გაზეთებში ჩივილი გვემის.

წრევანდელი ზამთარი, შედარებით, თიანეთის მაზრაში ნაკლებ სუსხიანია და თოვლიც საკმაოდ მცირეა. თუმცა ზოგიერთ მთებზე (საბადურისა მაგალითად) გზები შეიკრა, მაგრამ აქაც ფეხით და ცხენითაც შეიძლება გადასვლ-გადმოსვლა.

\* გურია: წრევანდელისთანა წელიწადი არც ერთ მოხუცებულს არ ახსოვს, ზამთარი ნამეტანი აუტანელი შეიქმნა, თოვლი თითქმის ერთ საყენზე მეტია. ზვავმა რამდენის მე სახლი მოიტანა ქვეშ, დანგრია შენობები, სასიმინდეები, ბეღლები და ეკვლევიტყვი.

საქონლის გამოსაკვები ჩალა აღარ ეყოთ და საქონელს ჰკლენ ამ მარხვაში, ზოგს უკვდება და ასე იღუპება უმისოდაც დაღუპული ვლტები. აქაური მკვიდრი ამბობენ, რომ ძლიერ შიმშილობა იქნება გაზაფხულზე.

\* სოფ. მეწიეთი: (გურია) კვირას, 11 თებერვალს მეწიეთის წმიდის-გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნა პანაშვიდი ნეტარ ხსენებული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად მღვდლის სერაფიმონ კალანდაძის მიერ. პანაშვიდის წინა ზემოხსენებულმა მღვდელმა მოკლე, მაგრამ საგრძნობელი სიტყვა წარმოთქვა, რომელიც დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „ვევდროთ ამ სამაგალითო შვილს ჩვენი ქვეყნისას რათა გვიშუამდგომლოს შემოქმედის წინაშე ჩვენი სულიერი და ხორციელი წარმატებისათვის და იმის მომავლინე-

ბელს, რომ ამისთანა შვილები არ მოგვაკლოს ამ მის მიერ ობლად დატოვებულ ქვეყანაში ჩვენსა საკეთილ-დღეოდ“. საზოგადოება ძლიერ დაღონებულია.

ქოჩხსკონდენსიძე.

სოხუმი. როგორც უკვე დამტკიცებულია და გამოცხადებულიც იყო, სოხუმში უნდა შემოიღონ „ქალაქის თვით მმართველობა“. ამ აზრს სოხუმელები დიდს სიხარულით მიეგებნენ და ამის საქმეთ კვევას-და ელოდებოდნენ დღით-დღე. თებერვლის ხუთს სოხუმის მოქალაქეებს დაურიგა პოლიციამ განსაკუთრებითი „ბლანკები“ სახოსნო პირების ჩასაწერათ — იმ პირობით, რომ ეს „ბლანკები“ მეორე დღესვე დაებრუნებინათ პოლიციისათვის, რათა შემდგარიყო ერთი საზოგადოება. ექვს თებერვალს, საღამოს, დაიწყო ხმოსნების არჩევა და გასტანა მეორე დღის საღამოს ათს საათამდე. არჩევანი იყო გამართული ქალაქის კლუბის დარბაზში, სადაც თავი მოეყარა მთელს სოხუმის საზოგადოებას: ქართველს, რუსს და ბერძენს. გულახდით უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქართველი საზოგადოება კარგათ მომზადებული იყო ამ საქმისათვის, — მას კარგათ შეგნებული აქვს მნიშვნელობა ქალაქის თვით მმართველობისა, რაც საქმითაც დაამტკიცა. სულ მექვეყნა რიცხვი იყო ოთხმოცდა ოთხმეტი (94) და კენჭი უყარეს ორმოცდა თერთმეტს კაცს, რომელთა ერგო შემდეგი:

სპ. მეტაქსა (90 თეთრი 4 შავი) აპ. გვილდუშვილი (86—7), დ. ანდრია-

შენკო (86—7), გ. ზაგრაფოპოლო (86—8), ა. ჯღლედი (83—10), თ. ი. შერვაშიძე (78—15), სტ. თურქია (77—16), თ. გაბუნია (77—17), გ. გვალა (77—17), აპ. თექშიძე (76—18), ნ. მეტაქსა (76—18), პ. კეთილაძე (73—21), სერებრიაკოვი (73—21), პ. ბარკალაია (71—22), ნ. გოგჯიანოვი (71—22), ნ. მასხარაშვილი (71—22), მ. კირთაძე (70—23), თ. ა. შერვაშიძე (70—24), მ. თოფურიძე (69—25), გ. თურქია (68—25), სან. თურქია (68—26), პ. გოგრიანიძე (67—25), ა. თურქია (67—25), ლ. თოფურიძე (67—26), დ. ჯავჭიანიძე (67—26), მ. მიმინოშვილი (65—29).

ეს 26 ზემო აღნიშნულნი პირნი უნდა იქმნან ქალაქის ხმოსნებათ, ხოლო შემდეგი ექვსი მათ მოადგილეთ:

ვას. გოგრიანიძე (64 თეთრი 29 შავი), ა. გოგრიანიძე (62—31), ონ. კირთაძე (61—29), ზრ. ახვესტოპოლო (60—33), როდზვეიჩი (60—34), ბ. გაბუნია (58—34).

ამ დღეებში უნდა წარუდგინონ გუბერნატორს ხმოსნად არჩეულთა სია დასამტკიცებლად და შექმდე მოხდება არჩევანი ქალაქის თავისა, მისი თანაშემწესი და დანარჩენ მოხელეთა. ვინ იქნება არჩეული ქალაქის თავათ და სხვა წევრებათ, ამას დავანახებთ შემდეგი, ხოლო ჩვენ-კი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხმოსნები იმოქმედებენ თანხმობით და აირჩევენ ამ დიდ მნიშვნელოვან საქმისათვის კაცს, არა კერძო და საკუთარი ინტერესების მიმდევარს, არამედ საზოგადო მოღვაწეს, ხალხის გულშემატკივარს განურჩევლად ერისა-

და სარწმუნოებისა და პატიოსნებით აღჭურვილს უანგარო მუშას.

ი. ბ.—მე.

უცხოეთი

ოსმალეთი. როგორც ვეროპის ელჩებს გამოუკვლევიათ და პორტასთან წარდგენილ ანგარიშიდამა სჩანს, სომხეთში მომხდარ არეულობის დროს ორივე მხრიდან დაღუპულა: 24,655 სომეხი და 79 ოსმალი. დაჭრილიც ყოფილა 1,255 სომეხი და 2 მამალიანი.

ისპანი. როგორც უკანასკნელად მადრიდიდამ მოსულ ცნობებიდამა სჩანს, გენერალის ვეილერის მოღვაწეობას კუბის კუნძულზე ჯერ-ჯერობით ზარალის მეტი არა მოუტანია-რა ისპანიისათვის. გავანასა და პინარდელ-რიოს საზღვრებზე ინსურგენტებს თავს-დასხმული ჯარები უკან დაუხვეიათ და ამ ჟამად იმედი აღარ არის, რომ კუნძული მალე დამშვიდდეს, რადგანაც ინსურგენტების მოძრაობა თანდათან ძლიერდება. გენერალი ვეილერი ახალს ჯარებსა და სურსათს თხოულობს. გაზეთი „ელ-ჰერალდო“ იუწყება, რომ ინსურგენტები მატანზის პროვინციაში გადავიდნენ და თუ გამართლდა ეს ხმა, მაშინ მთავრობა იძულებული იქნება ოფიციალურად განაცხადოს, რომ კუბის საქმეები მეტად სამწუხარო მდგომარეობაში არიან. პარლამენტის სესხია მადრიდში 9 თებერვალს დაიხურება, ახალი არჩევნები მარტში დაიწყება.

ბულგარია. სოფიიდან აუწყებენ დღეებით „ნოვოსტი“-ს: სტამბუ-

ლოვის მომხრეებმა თავის პარტიის წინამძღოლად გრეკოვი ამოირჩიეს. ამათ გარდასწყვიტეს თავადს მხარი დაუჭირონ, რუსეთის პოლიტიკის სიძულვილს თავი დაანებონ და მთელი თავისი ყურადღება სამთავროს შინაურ საქმეების მოწყობას მიაქციონ.

ჩინეთი. გაზ. „შორეულ აღმოსავლეთის ცხოვრება“-ში დაიწყო ბეჭდვა მოხსენებისა, რომელიც პეტერბურგში ჩინეთის ელჩად მყოფმა ვანჩი-ჩუნმა წარუდგინა ბოგდიხანს. ჩინეთის ელჩი აღიარებს, რომ ჩინეთი მართლა ბევრით ჩამორჩა მეზობელს ხალხებს და ამბობს რეფორმების შემოღება აუცილებლად საჭიროაო. აი, სხვათა შორის, რას ამბობს იგი: „ჩემის აზრით უთუოდ საჭიროა შემდეგი საშუალებანი ვიხმაროთ: გავიყვანოთ რკინის გზები, სამხედრო წეს-წყობილებაში ცვლილება მოვახდინოთ, შევცვალოთ გზაშენების სისტემა, გავავრცელოთ განათლება, უფრო მეტი ფასი და მნიშვნელობა ჰქონდეთ ვაჭრებს და ხელოსნებს, შევამუშავოთ და ვეძიოთ ჩვენი სხვა-და-სხვა მინერალური სიმდიდრენი, ცვლილება შევიტანოთ გარეშე დამოკიდებულებათა ორგანიკებში.“

ყველა ამის შესახებ სახელმწიფოს წარმომადგენელთ უკვე ჰქონდათ მსჯელობა, მაგრამ ვერაფერი გარდასწყვიტეს, ან-და ამ საგნების შესახებ წარდგენილი მოხსენებანი უფარგისნი გამოდგნენ და ელიან ახლად იქონიონ საფუძვლიანი მსჯელობა.

მინისტრო როსსი.

დღეს სრულდება 50 წელი ერნესტო როსსის არტიტიული მოღვა-

დალოცვილს ლაშარი ჯვარსა ძნელად (ძალიან) უყვარან ხახანი: წინ-წინ-კი მაგათ არიეს ხოზარას სამინ-სამზღვარი!

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ფშაველი მანც იმედს არა ჰკარგავს, რომ ხალხისა და ხატის მოღალატეს ან ამ ქვეყნად მოეკითხება, ან არა და საიქიოს ხომ არ ასცდება სასჯელი:

—ყაყიდეთა და ხახათა მესამე ვინდა ეტანა?

—ბერ იყო ჩოლაგაური, ფეხი რომ შამოეხარა! (შენაშა)

მოღალატე ფშაველი ეშაირება ალაღმართალს და აყვედრის, რომ ღარიბია: ნახვენი—ჯამი, ფილი, ხონი, ტაბაკი და სხვა მიგაქვს კავკავს, იმასა ჰყიდი, პურსა ჰყიდულობ და ისე სცხოვრობო! მეორე უბასუხებს: ხატისა და ხალხის ღალატს ასე ცხოვრება მიჩვენიაო.

—რა კარგა ქალა მოგეცით, ვაჰმე, მოგვიკლავთ შიმშილსა!

—ჩვენც ვაჰმევეთ ქერის პურსასა, არც თქვენ გაგიზღავთ ბრინჯითა!

—ცხენებს დასწყვიტეთ წილები, კავკავს ნახვეწის ზიდვითა!

—თას-სურეების პარვასა ხვეწა ჰჯობ ჩემის ფიქრითა!

—მაგაზე არ დამბიზლო, გამაგზავნიო ციმბირსა!..

—შენ ციპირ ჯოჯოხეთია, თავად იციან ღვთი შვილთა!..

რომ დაეცვათ და შეარჩინათ ხატისა და ხალხის პატივი და რწმენა ბევრი ღონე იღონეს ფშაველებმა: ხან ხატის მსახურთა და ყარაულთა აყვედრეს: კარგა ვერ ინახავთ ვერა ჰყარაულობთ, ქურდებს აოხრებინებთ

მამა-პაპის ამგასაო: მწარიავ მისრიათაო, ქკვა გაგიქრა ყმაწვილოური!

ერთა თასაი-ლა გქონდა, ნაკვეთაურთ შაწირული; ეგეც ხახათ მოგაცალეს, დარჩი იღბლის გაწირული.

ხან „თასები ღვარეს“ და არისხეს ხატ-ღმერთს მოღალატე, ხან განჩენები ადგინეს და ხელი აწერინეს საეჭვო კაცებს, მაგრამ მანც არაფერი გამოვიდა, შებღალული რწმენა ვერ აღადგინეს, ახალმა რწმენამ, ავკაცობაში გახვეულმა, თავი გაიტანა: ფშაველებმ რუსებს მიმბარეს: ნიკოსა და მაკაროსა..

ახლა ხელს მაწერინებენ: თასებ აღარ დაგვპაროსა!

ხატ-ღმერთი იმას გაუწყრეს, ვინც მიწაში ჩაყაროსა!

აბა როგორ მოვერიდო, ღმერთმ რო სარჩოს შამყაროსა!?

მოვიყვან ახლა იმის მაგალითებს, თუ ფშაველი როგორ ებრძვის ლექსით სხვა-და-სხვა ახლად შემოსულ ჩვეულებას, შეუფერებელს მის ცხოვრებასთან: ფშავში არის ჩვეულებად, რომ რაც უნდა შეძლებული ოჯახი იყოს, ქალს რომ გაათხოვებს და გაისტუმრებს, ზოთვეს დიდსა და ბევრს არაფერს აძლევს. მოძრავი ქონებიდამ, შეიძლება, კიდევ ან ძროხა, ან ცხვარი, ან ფული აჩუქონ ქალს, უძრავიდან ხომ იოტის ტოლას არაფერს უნაწილებენ, თუნდაც დედამამის ერთად-ერთი შვილი იყოს. ერთი ფშაველი, გვარად ხარანაული, კარგი ოჯახიშვი-

ლი, ამ ჩვეულების წინააღმდეგ მოქცეულა და ქალისათვის მიუცია ცოტადენი საკუთარი მამული. შეუტყვიო ეს მოღიქეს, ხალხის გულს თქმათა წარმომადგენელს, გულში ჯავრად ჩასჭროა, ვი თუ ხარანაულის მიხედვით სხვაც ასე მოიქცეს, ძველი ჩვეულება გაირყვნას და გაურჯულბელი გარჯულდესო, შეხდა ხარანაულს და ასე გაეშარა:

უყურეთ ხარანაულსა, მოკეთებების ერთგულსა!

ჩვენაც ვისტუმრებთ ქალებსა, არ ვაძლევთ დედულ-მამულსა.

ხარანაულიც მოღიქეს იყო და ასე მწარე პასუხით გაიმართლა თავი:

თქვენ გასტუმრებულს ეძახით ძაღლივით გამოვადებულსა!..

ნეფერეკლესა ვგვივართ, ვერ ვაძლევთ. თავის ერთგულსა...

ფშაველი დედა კაცი, გარდა იმისა, რომ ყოველნიარ საღაცო საქმეს აკეთებს, ამისთანავე, თუ გაუქირდა, წყემსობასაც გასწევს, კიდევ მოხნავს, კიდევ მომკის, თივასაც მოსთიბს, შეშასაც მოიტანს, ერთი სიტყვით, მამაკაცა ყველა საქმეს იკისრებს. ბარის დედა-კაცი-კი ამოდნობას ვერ გასწევს, ასე იფიქრეთ, ფურსაც ხეირიანად ვერ მოსწველავს და რძეს ვერ შეატყობს, შესაძლებელია ჯერ თუ არა. ასეთი შეხედულებისა ფშაველი ბარის ქალზე და ურჩევს ახალგაზდა ფშაველებს, ბარის ქალი არ შეირთონ:

ფშაველს ბარის ქალ რას არგებს, ნამეტნავ დედის-ერთასა:

ვერ შამაიტანს სახლშია კარზე მოტანილს შემასა; გინდ ამობრუნდენ ძირითა, ვერას გაიგებს რძეთასა!..

ფშაველი დარწმუნებული იყო, რომ პაპიროსის წვეა „დიდი კაცის“ საქმეა, რომ ეს ჩვეულება ფშაველს ხელს არ მისცემს, გარყვნის მას, ცუდ ზნე-ჩვეულებას შესძენს, რის წყალობითაც მამა ბიძის მონაგარს მთლად დაჰკარგავს. ამიტომაც დასცინის პაპიროსის მწვევლს და ამბობს:

ფარხაი სწევს პაპიროსსა, გადიდებს აპიროსსა!..

ფარხას, ძალიან მდიდარი ბიძა ჰყვანდა, იმის სარჩო ფარხას დარჩა. მიჩვიო ეს კაცი დუქანში სმა-ქამას და პაპიროსის წვეას. დუქანში ისეთი საქმე დამართა, რომ სრულიად გააღატაკა. ამას ვინა ჩივის, გლეხურ მუშაობასაც გადააჩვიო. ბოლოს ჩარჩობა-და დაიწყო: დადის სოფლებში და ყიდულობს შვინდის კერკს, ტყემლის მუკავს და სხვ. სწორედ ამ დროს შეხვდება ფარხას ნაცნობი მოღიქეს და ეტყვის:

ახი კი არი, ფარხაო, კაცმ არა გკითხოს „მშვიდობა“:

ბიძის საჩხო შასქამე, გამეწარს დახვალ შვინდობა!..

კიმილსა სვამდი—ტკბილ იყო, პაპიროზ რად-ლა გინდობა?!

ფშაველი არავისი ყმა ყოფილა და ყმადაც არავინა ჰყოლია, მას მეტად სჯავრებია და ეჯავრება ეხლაც ბატონ-ყმაბა. ძალიანა სწყინს, თუ ვინმე მბრძანებელი მის მიწა-წყალზე ფეხს დასდგამს. ერთხელ

ზამთარში, თავადს ვანოს, რომელიც რალაც თანამდებობას ასრულებდა ფშავში, ფეხებზე შესცივინა. რომ ფეხები გაეთხოთ მისთვის, მხლებლებს ჩალა უთხოვინა ფშავლებისათვის. ეს გამხდარა მიზეზად, რომ ერთი ფშაველი მეორეს ეშაირება:

—ჩალა არავისა გაქვთა, ფეხი დაგვიზრენ ვანოსა?

—ნეტავი სრულაც დასცივდენ, ლაშარი ჯვარმა ბრძანოსა!

ფშავის ხვეია, ბატონო, თავად აქ ვერა გვარობსა..

—

ლექსობა-შაირობა ფშავში ორგვარაა: დაბარებითი და პირდაპირი. დაბარებითი—თავისთვის მოფიქრებული და ისე გამოქვეყნებული ლექსია. პირდაპირი-კი ხელდა-ხელ, ექსპრომტად ნათქვამი, როცა ორი მოღიქეს სადმე ლხინში ერთ მანეთს შეეჯიბრებიან, რომელი მათგანი აჯობებს. ზემოდ მოყვანილი ლექსები, სადაც ორნი ეშაირებიან ერთთურის, ნიმუშებია პირდაპირი ლექსობისა.

პირდაპირი ლექსით ბრძოლა და ქიდილი რომელსამე საღმინო აღავსა ხდება ყოველთვის. მაყურებელი ყოველს ლამაზად და მოსწრებულად ნათქვამ ლექსს ძირს არ უშვებენ, გულში იბეჭდავენ და გულის ძვერით მოელიან მათ ერთმანეთის დამარცხებას. მასოეს ერთხელ ჯვარობაში შეეჯიბრნენ ორი ახალგაზდა მოღიქეს, დიდი ხანი იბრძოლეს, ბოლოს ერთმა უთხრა:

წადი და თივა მოთიბე, შენს ძმობილს დაუჯერია!

როგორც შენიშნავდით, ყოველი



წეობისა. ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს გამოჩენილს არტისტს, და ღიადაც უყვარს და მოსწონს იგი. ეს სიყვარული ჩვენმა საზოგადოებამ კიდევაც დაუმტკიცა როსისს, როცა ამას წინად აქ იყო.

დაიბადა როსი 1830 წელს. 15 წლისა მამის სურვილის წინააღმდეგ ერთ კერძო დასში შევიდა და 1847 წლიდან იწყება მისი არტისტიული მოღვაწეობა. 1855-დამ დაიწყო ევროპაში მოგზაურობა და კიდევაც მოიხვეჭა სახელი. უმთავრესი მისი როლები არის: ლირი, მაკეტრი, ჰამლეტი, ოტელო, სიდი, ნერონი და შველოხია.

**ქურნალ-გაზეთიდან და წიგნებიდან**

ამოკრებილი ამბები.

— მესხიერება, ხსოვნა ისეთი განძია ადამიანისათვის, რომ მისი დაკარგვა, ან დაკლება მეტად ძნელი რამ არის. მისი ხსოვნის, მესხიერების მოშლისა და დაკლებისა ძალიან ბევრია და ამიტომაც წმინდა ჩივილი მესხიერების კლებიდან დაკარგვისა. მკურნალი სოლიე ამბობს, რომ ყველაზე წმინდი მიზეზი თამბაქოა ხოლმე. პატარები, რომელნიც სწევენ თამბაქოს, უარეს მოწყალებთა შორის ითვლებიან. მოზღვიანისათვის, რომელთათვის თამბაქო განუღებია გასაღები-ბლად იხმარება, თამბაქოს ხმარებას სულ სხვა ნაირი, განსაკუთრებული დაკლება მესხიერებისა მოსდევსო, ესე იგი, ავიწყდება მარტო სიტყვები და ნამეტნავად სახელები, დავიწყება ამბისა (ფაქტისა) კი ძალიან იშვიათად მოხდება. ამ დაკლებას შეიძლება მოჰყვეს მოშლა სიტყვა-პასუხისაც: მიტქე-ლი იმის თქმას ვეღარ ახერხებს, რის თქმაც უნდაო, და ის ემართება, თითქო მუნჯიაო.

მორჩის მიღებაც ძალიან ჰგონებს მესხიერებას. მორჩი, რაკი შეისხამს კაცი, ჰკუას ახალსებს, მოსაზრებას აფხიზლებს, ჰკუასა და მესხიერებას უძლიერებს, მაგრამ ამის მე-

მოდლეც კდლობს, ისეთი რამე სთქვას მოსწრებულად, რომ მოპირდაპირესაც გული მოჰფხანოს და მაყურებელნიც აცინოს. აქ მოყვანილი ლექსის მიტქელობა კარგად იცოდა, რომ მის მოპირდაპირის ადგილი ბალახით და თივით ნაქები იყო ფშავში. ამიტომაც ეუბნება: მიკვირს, შენ საჯვაროზოდ როგორ მოგიცლია, შენ ეხლა თივას უნდა სთიბდე, ჩემთან შაირობა რა ხელს მოგცემსო. ამაზე მეორე უბასუბებს: ბალახნ არ გამაგრებულან, ვერ გამაიტანს ცელია! ჯერ ხატებ უნდა ვილოცო, ლაშარი ჯვარი ჩვენია. თიბასაც კიდევ მოვასწრებ, ჯერ შორსავ არი სთველია! ამ სიტყვებზე მაყურებლებმა ტაში გაჰკრეს და დაიძახეს: გაუმარჯოს! აჯობა, გატეხაო!

პირდაპირი ლექსობის გარდა, დაბარებით ლექსობითაც ძალიან ბრძოლა აქვთ ხოლმე მოლექსეებს: იგინი ალექსებენ ერთურთს, ერთურთის თემ-სოფელს, ავსა და კარგს, რასაც კი ყურსა და თვალს მოჰკარავენ. აი მოლექსე ყორანა როგორ დასცინის მოლექსე პარასკევას, ღარბსა და უქონელ კაცს, მის პატარა სოფელს: სლოვანსა პარასკევას აშენებს ქალაქივითა: მურგვალთ გულავან მავლო, მიიგლო ივრის პირითა; ლიბოდ ჩაყარა ტყვიითა: წყალმ არ აწყინოს ძირითა! დაშმართა ქარვასლები, დაშხურა კალა-რკინითა... საპირი უხნავს გუთანნი:

რმდე-კი ყოველივე ეს მალე გადაუვლის და ყოველივე ეს უნარი უსუსტდება და ყველაზე ნა-მეტნავად მესხიერება, ადამიანი იმისათვის, რომ ყველა ეს სიკეთე დაიბრუნოს ხელახლად, თან-და-თან ბევრსა და ბევრს მორჩის ნდო-მულობს და ამით უფრო იფუტებს საქმეს საბოლოოდ. მორჩისაგან ყველაზე უწინ ავიწყდება კაცს ახალი ამბები, როგორც ძალიან მოხუცსაო. თბიში, ხაშიში, სლორი, ყველა ეს თანდათან აკლებს მესხიერებას, რადგანაც თანდათან უმატებს განუღებლს სისუსტესაო. რომ კაცმა თავი მოიხრინოს მესხიერების დაკარგვისაგან ხსენებულ მიზეზთა გამო, ერთადერთი ღონისძიებაა: ხელი უნდა აიღოს სრულიად თამბაქოზე, მორჩაზე და სხვაზე, რაც ზევით დასახელებულია. ეს-კი უნდა იცოდნენო, რომ ღიღის ხნის ხმარებას ზემოხსენებულ საგნებისა მოსდევს ბევრი სხვა ვნებაცა, მაგალითებრ, ჰკუილამ შეშლაო.

წმინდა არის დაკარგვა მესხიერებისა რკინის ფენისაგანაც, ანუ, უკედ ვთქვათ, ნახშირ-მზადის სიმყავისაგან (ოქსიდ უგროდა). ამ მიზეზისაგან დაკარგულ მესხიერების დაბრუნება, განახლება ძალიან ბევრს დროს ითხოვს და შესაძლებელია მხოლოდ რამდენისამე წლის შემდეგაო. ეხლახან ერთს პრაფესორს უთქვამს, რომ მე ჩემს კაბინეთში რკინის ფენი მედგაო და ვიგრძენ, რომ მესხიერებამ დაიწყო ლალაო და რომ საბოლოოდ არ წამხდნოდა საქმე და უწინდელი მესხიერება დამებრუნებინაო, მთელი ხუთი წელიწადი მომინდაო. (6.)

— შარშან პარისის საზოგადოებას პირ-უტყვეთა მფარველობისას ოქროთი დაფერილ ვერცხლის საყელო ჯილდოდ მიუცია ერთს ძალიანსათვის, რომელსაც „სულთანი“ ჰქვია. ეს მეყვარი თურმე მშვენიერი ნიუ-ჟაუნდლენდის ჯიშის ძაღლია, მეტის-მეტად კარგად გაჟურთონილი, კარგად გაგვილია და მეტის-მეტად უბოროტო და გულ-კეთილი. იმ უბანში, საცა თურმე ეს ძაღლია, ბაშებს ისე გაგიჟებთ უყვართ, რომ როცა დაინახვენ აღარ იციან სიხარულით რა ჰქნან, ძაღლიც, როგორც საყვარელი ამხანაგი, იმათთან თურმე ერთის და ჰთანაშობს. იგი პირუტყვი ძალიან ღონიერია თურმე და საკმაოა პატარანა ანიშნოს რამ, რაც ძნელი მისახვედრია და ღიღს თავ-გამომეტე-

მინდორ დაბზარა ძირითა. ცხენს შაჯდა პარასკევას, მინდორზე გააჯირითა!..

პარასკევა და ყორანა შეჯიბრებულნი იყვნენ. ბევრი მწარე ლექსი გაუთალა პარასკევამაც ყორანას. სხვა თაშორის, ერთ ლექსში ასე ემუქარება:

გიბარებს პარასკევას: ვაჟო ყორანავ დადევო! კარს გამოსავალს დაგილეგ, თუ მე სალექსოდ შევდეგო!..

პარასკევას ოჯახის წევრი დაჰკლებია. ჩვეულებისამებრ უნდა ეგლოვა, ლექსი და სიმღერა აღარ ეთქვა. პარასკევას ეს შემთხვევა ძალიან აწუხებდა, მისი მტრები—მოლექსეები იმით ისარგებლებდნენ, რომ პარასკევა ლექსს ვეღარ იტყოდა, მრავალს რასმე გააგონებდნენ ქვეყანას მის საუფლოს... გლოვასაც ვაღაუვიდა, პარასკევამაც ღიღინი გატეხა და ლექსიცა თქვა; ის ისეთი მოლექსე არ არის, რომ თავის ნათქვამს არაობდეს და სხვას აბრალებდეს:

ენას ჩამედვა ბორკილი: ყალბან მამერგო ღვთისაო. ეს თქვენ რად გაგხარებთ, კიდევაც ვაგტებს ღიღინსაო! ლექსი თქვა პარასკევამა \*), ჯავრ არა ჰქამა მტრისაო. არც იცის დაარავება, არც დაბრალება სხვისაო! და სხვ.

\*) პარასკევა, სახელგანთქმული მოლექსე-მოშარიე ფშავში, ვაჟა-ფშაველასი და ძმთა დედის ძმა იყო. არ არის საკვირველი, რომ ამთ მოლექსეობის ნიჭი დედამა ჰქონდეთ. ხალხის სიბრძნეც ამბობს: „ყმა დედულეთით გამოვა, ქალი ლამაზი გვართა“.

ბას თხოულობს და ძალიან დაუყოვნებლივ და უშიშრად ასრულებს ნაწიშს პატარანისა. მაგალითებრ, იმ ახლო ხანებში ამ ძაღლს დაეჭირა ერთი ქურდი, მეორედ დაეჭირა კაცის-მკვლელი; 1893 წ. ერთი ბაშვი, რომელიც დიდ წყალში ჩაყარდნილიყო და იხრჩობოდა, გამოიყვანა წყლიდან. 9-ს აპრილს 1894 წ. ერთი კაცი პარისში სე-ვაში გადავარდნილიყო ხიდიდან, ძაღლს დაენახა, თან გადაჰყოლოდა და გადავარდნილიდან თავ-გამომეტეებით, რომ მწახველნი გაეკვირვებო.

**ბატონ-ქორბის ისტორიად.**

ჩვენს გამოკვლევაში „ბატონ ყობა-ბა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ სხვათა შორის აღვნიშნეთ, რომ ბატონები თავიანთ ყმებს ავირავებდნენ, ჰყიდდნენ, მზითვეში ატანდნენ, ქორ-მეძებრებზედ სცვლიდნენ და სხვა. რადგანაც ამ საუკუნის დამდეგამდის საქართველოში არ არსებობდა ქურნალ-გაზეთობა, განცხადებაც ყმების გაყიდვის შესახებ ბეჭდვითი საშუალებით არ სწარმოებდა. რუსეთში არა ერთხელ ყოფილა ამ ბოლო დროს ჰბეჭდილი ცნობანი საჯაროდ ყმათა სყიდვა-გასყიდვის შესახებ ანუ გაპარვაზედ ყმათა, მაგალითად, ქალის (პრიჟაია დეჰკა სნჟალა“). როცა ჩვენ გადავავთვალეთ ვაზ. „ზაკავკაზ-სკიი ვესნიკი“ ჰლ. იოსელიანის რედაქტორობით, იქ შეგვხვდა ბევრი საყურადღებო მასალა, როგორ განვითარდა ამ საუკუნის პირველ ნახევარში ბატონ-ყობა საქართველოში და რა გავლენა იქონია რუსეთმა ამ მხრივ ჩვენს მებატონეებზედ. რუსეთის შეხედულება ყმებზედ გავრცელდა საქართველოშიცა, იწყეს აგრეთვე განცხადებების ბეჭდვა ყმათა სყიდვა-გაყიდვის შე-

ფშაველს კიდევ უყვარს ლექსი და კიდევ ეშინიან ლექსისა. თუ რამე ზებრხული საქმე მოუხდა, გულმტკიც-ნეულად ამბობს: ვაი, გამიწყრა ღმერთა, თავი სალექსოდ გავიხადეო! მოლექსეც უყვარს ფშავლებს, როგორც ლამაზის, მოსწრებულის და სიმართლით სიტყვის მიტქელო, მაგრამ ზოგიერთა მოლექსე მოთმინებდგანაც-კი გამოიყვანს ხოლმე სოფელს. იყო შემთხვევაც, რომ სოფელი მოლექსეს უჩიოდა. მოლექსემ მაინც არ დაიშალა ლექსის თქმა:

მიჩივის ყვარის სოფელი, მიბარებს გამამიელი: აგებ დამკარგონ ციმიბრისა— ჰქონით ამის ცდიელი!

სიტყვა ვერ მომიგონია მაგათად შესაქციელი. და სხვ.

— ნუ დავიფიცებთ იმასაც, რომ ლექსობა-შაირობაში დედაკაცი იღებს მონაწილეობას, ხოლო ისე აშკარად კი არა, როგორც მამაკაცი. მამაკაცივით სახალხოდ ლექსობა დედაკაციისათვის ძალიან სირცხვილია ფშავში. მარტო ხმით ტირილი, რომელიც იგივე ლექსია, არ უფარდება დედაკაცს სირცხვილში. დაფარულად ლექსობს ფშაველი ქალი, სანამ ახალგაზდაა. როცა მოხუცდება, მაშინ-კი ძალიან აღარა სცხვენია და თავის ნათქვამს ლექსებს ხშირად ასწავლის ხოლმე ახალგაზდა ქალ-ყმებს. ჩვენმა მეზობელმა მოლექსე დედაკაცმა, სახელად ქალთათავმა, მეც მასწავლა თავისი გამოთქმული ლექსები, რომლებსაც მოვიყვან ნიმუშებად. პირველი ლექსი მის ყმა-

სახებ. აი რამდენი მე მაგალითი: „ზაკავკაზ. ვესნი.“-ში 1839 წ. მე-ოცე ნომერში დაბეჭდილია: *Продажа съ торга 3 семействъ изъ 6 душъ мужскаго и 6 душъ женскаго пола съ ихъ имѣниемъ.* ამგვარი განცხადებანი თითო ნომერში რამდენიმეა. რომ მკითხველმა წარმოიდგინოს, რა საქმიანობის კულოთი და ურცხვი პირ-ახლილობით სწარმოებდა კაცთა დამამცირებელი ყმათა სყიდვა-გასყიდვა, მოვიყვანთ ერთს განცხადებას სრულიად შეუმოკლებლივ. (ზაკავ. В., 1840, 29): *Грузино-Имеретинское губерниское правление объявляетъ, что въ немъ будетъ продаваться съ публичнаго торга Крестьянинъ Гогиа Джамашишвили съ семействомъ и имуществомъ его, состоящимъ въ Сигнахскомъ уѣздѣ въ селеніи Бакурцыхъ; онъ принадлежитъ вн. Саридону Агатову, оцѣнка въ 450 р. с., прадается за долгъ Агатова Бакурцыхской Княгинѣ Анастасіи Агатовой по взаимному письму 300 р. Желающіе приобрести покупкой сказанное семейство могутъ явиться 24 Іюля 1840 г. и на переторжкѣ чрезъ три дня въ Губерниское правление, гдѣ опись всему семейству видѣть могутъ“.*

ამ გვარადვე ისყიდებიან ყმანი ამი-ლახვიანთი, ჩოლაყანთი, მაყაშვილებისა და სხვ.

სხვათა შორის რუსეთის გავლენა დაეტყო ჩვენს ბატონ-ყობას იმ მხრივ, რომ აეკრძალათ ახნაურ-შვილებს, რომელნიც ქრისტეს მორწმუნენი არ იყვნენ, ჰყოლოდათ ყმანი, აგრეთვე „მოქალაქეებს“ აეკრძალათ ამ უფლებით სარგებლობა. ამ უკა-

წვილქალობის ხანას ეკუთვნის: ვადმავლიენ ცხვარანი... მე-კი ვკითხულობ: ვისია? ნეტაი დამსვა შენთანა, მაკოცნებინა პირშია!

ჩემდ აძახდობა ერთხელა რა შენი საკადრისია?!. კითხვას-კი ნურას დაიწყებ: ე ლექს ნათქვამი ვისია? შამაგინებენ სწორები, შენც გეწყინება, ვიცია... მე-კი მწყინს შენი დამგობა, მზე ნუ ჩამიხდეს ძმისია!..

მეორე ლექსში ის ხანაა, როცა პირველად გვიგო, რომ ძმას ვაუთხოვებია იგი (დედ-მამა პატარასავე დაჰხოცია):

საგონებარში ჩავვარდი, ვეღარ ავაგე ტარია. ნუმც გაიზდება ობოლი, მემრე უდღეო ქალია! რად გამათხუე მალევა, ვაჰ, ძმაო, შენი ჯავრია!

ისე ვუვლიდი შენს სახლსა, როგორც ი ბატარაძალია: ჯერ დაგიგოდი ლოგინი, მემრ დაგწეროდი ჯვარია!.. ცხენამც დაგეკარგება, ახანის იყო მეზავრია.

ვერც მაშინ გაიგებდია, როგორც არი ჯავრია!.. ემა დედუნას ვეუბნენ: მასწავლენ ფშავის გზანია!

— იარე, დო, წავიდეთ, ფშავს შამოვავლოთ თვალია... ადილო-კი კარგი ჰქონიათ, ტურფა ხატ-ხატის კარია. ნეტავი გამაცნობინა, როგორ-რა გყავ ქმარია?..

ნასკნელ მებატონებს ართმევდნენ ყმებს და ანთავისუფლებდნენ სახელმწიფო გლეხთა გასაძლიერებლად. ამგვარი განცხადებების დახმარებით და სხვა წყაროთა საშუალებით შეიძლება დასურათდეს ბატონყობა საქართველოში რუსეთის დამყარების შემდეგ კავკასიაში.

**ბიზლიზრაფია.**

The Hermit a legend by Prince Iliia Chavchavadze. Translated from the Georgian by Marjory Wardrop. Bernard Qaurich 15 Piccadilly London 1895.

ინგლისურს ენაზედ დაიბეჭდა და გამოვიდა ო. ილია ჭავჭავაძის პოემა „განდევილი“, თარგმნილი Miss Marjory Wardrop-ის მიერ, ავტორის სურათით და პატარა წინასიტყვაობით, რომელიც აქვე შემოკლებით მოგვყავს:

„მაშინ, როცა მრავალნი ინგლისელი სპარსულ ლიტერატურას ეტანებთან, ცოტას ნახავთ, რომ ვინმე ქართული ლიტერატურის არსებობაც იცოდეს. საქართველო სწორედ ყურადღების ღირსია. ვფიქვინ-ტყაოსანი“ რუსთაველის მე-12 საუკუნის ეპიკოსის პოეტისა სულაც არ ჩამოუარდება შანანმესხოლო რომელ ეხლანდელ სპარსელ პოეტს შეუძლია შეედაროს ბარათაშვილს? და სხვებს საქრისტიანო სამეფომ კავკასიისამ, თვით ბუნებისგან ნიჭით უხვად დაჯილდოვებულმა, რომელმაც შეითვისა აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურა, მალე მიღწეა განათლების უმაღლეს საფეხურამდე და თუმც ბრძოლის საშინელი ქარიშხალი გამოიარა, მაინც ლამაზარი

ემავრის მოლექსეებელი ძროხაშია ვარ ქალია. ზემოთითა სძოვს ძროხები, ქვემოთითა სძოვს ცხვარია. პირ-და-პირ არი იაღნო, (მთის სახელია) ძალიან იცის ქარია!..

მესამე ლექსი იმ დროს ეკუთნის როცა ქალთათავი უკვე ქმრის ოჯახზე ზრუნავს და ებრძვის ყველა იმას, რაც იმით სარჩოს და ცხოვრებას შეუბრალებლად მოეკიდება როგორც თავი:

თავს ბუდე გაუკეთებავ, ამ ჩვენი სახლის ქერშია: წრუწუნა ჩამოვიყვანე, კვდება, მიტერავ ხელშია; შავადღე სამკაცრებლადა, \*) გაავწვდვიენე ფეხია!..

თავმა დაიწყა ტირილი: «არა გქონია ღმერთია! ჩამთვალე უშვილოჩია, განა, მამიკალ ბედია?!» ახლა მე დავემუქარე: შენიმც თავ მამცა ხელშია!

შენი ჯავრი მქირს, თავგაო, კალოდ გაიღე ძნებია!.. ბოლოს უნდა დავსძინო, რომ ქალთათავი, იმის გარდა, რომ მოლექსეა, ამასთანავე კარგი მოტირალიც არის. შენიშნულია ფშავში, რომ ვინც მოლექსეა, ის მოტირალიც კარგია.

ფშავლიშვილი.

\*) დამკაცრებას ფშავლები იმ მოქმედებას ეტყვიან, როცა მომავლად თვალს უხუჭვენ, პირს უკუმევენ, ხელსა და ფეხებს უსწორებენ.

